F 14
1950

უ ზ ა ლ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრძანებათა
და განკარგულებათა

კრებული

წელიწადი მეცამეტე

№ 11	Сборник приказов и распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР	1950 г.

F 1921

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 4034, ქვემო სვანეთისა და ცაგერის რაიონების სკოლებში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . 3
2. ბრძანება № 4019, გაგრისა და გუდაუთის განათლების განყოფილებების მუშაობის შესახებ 24
3. ბრძანება № 4171, ქ. გორის ვაჟთა II საშუალო სკოლაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ 31
4. ბრძანება № 4191, თბილისის გარეუბნის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორის გ. გ. ზუმბაძის მოქმედების შესახებ . . 33

ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

თბილისი—1950

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 4034

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 25 ოქტომბერი

ქვემო სვანეთისა და ცაგერის რაიონების სკოლებში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ქვემო სვანეთისა და ცაგერის რაიონების სკოლების მუშაობის გამოკვლევის მასალებს, აღვნიშნავ, რომ მიმდინარე სასწავლო წელს ქვემო სვანეთისა და ცაგერის რაიონის სკოლებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საქმეში მოპოვებული აქვთ ზოგიერთი მიღწევა.

მასწავლებელთა თვალსაჩინო ნაწილი კარგად მუშაობს, საფუძვლიანად ემზადება გაკვეთილებისათვის, სწავლებაში იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, გაკვეთილს ატარებს შინაარსიანად და მიმზიდველად. მასწავლებლები აძლიერებენ მოსწავლეებში ინტერესსა და მისწრაფებას ცალკე სასწავლო დისციპლინების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისადმი, რის გამო მოსწავლეთა დიდი უმრავლესობის ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელია.

შესწავლილ სკოლებში კარგად მუშაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: დ. პირველი, რ. ლიპარტელიანი. თ. გაზდელიანი (ლენტეხის საშუალო სკოლა) ვ. ბურჯალიანი (ორბელის საშუალო სკოლა), მ. ფრუიძე (ლაილაშის სკოლა), ი. მანაგაძე (ტვიშის საშუალო სკოლა), ლ. ჩაკვეტაძე (ოყურეშის საშუალო სკოლა), ჟ. კანაჩაძე (ცაგერის საშუალო სკოლა). რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ნ. ლორთქიფანიძე, მ. ახვლედიანი (ლენტეხის საშუალო სკოლა), ნ. ლეშკაშელი, გ. უჩაძე, მეთოდიანი, ე. გელოვანი (ცაგერის საშუალო სკოლა), გ. გელოვანი (ორბელის საშუალო სკოლა), ეკ. ასათიანი, გ. კოპალიანი (ლაილაშის საშუალო სკოლა), ამავე სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი ჩერგოლეიშვილი. ისტორიის მასწავლებლები ნ. ომანიძე (ზუბის რვაწლიანი სკოლა) და გ. სვანიძე (ზოგიმის რვაწლიანი სკოლა), მათემატიკის მასწავლებლები გ. საღინაძე (ცაგერის

საშუალო სკოლა) და ბ. ონიანი (ჟახუნდრის საშუალო სკოლა). ქიმიის მასწავლებლები მ. მუსელიანი (ცაგერის საშუალო სკოლა), ქ. ძოძუაშვილი (ორბელის საშუალო სკოლა) და ც. უგრეხელიძე (ოყურეშის საშუალო სკოლა). ბიოლოგიის მასწავლებლები—ე. სვანიძე. ნ. მარგველაშვილი (ლაილაშის საშუალო სკოლა), ვ. ბუგავა (ცაგერის საშუალო სკოლა) და მამარდაშვილი (ოყურეშის საშუალო სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინა წლებთან შედარებით მინიმუმამდეა დაყვანილი სკოლის ასაკის ბავშვთა განთესვა, ბევრმა სკოლამ ზუსტად აღრიცხა სკოლის ასაკის ყველა ბავშვი, ჩააბა სათანადო კლასებში და შექმნა სათანადო პირობები სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა შენარჩუნებისათვის (ცაგერის რაიონის ალპანის, ლასურიაშის და ოყურეშის საშუალო და ქვემო სვანეთის რაიონის რცხმელურის რვაწლიანი სკოლები).

ზოგ სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უმიზეზოდ გაცდენა-დაგვიანების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს, რის შედეგად მოსწავლეთა დასწრება გაკვეთილებზე კარგია, ორბელის საშუალო და ქვემო სვანეთის რაიონის რცხმელურის რვაწლიან სკოლებში.

ბევრ სკოლაში პედაგოგიური საბჭოს სხდომები შინაარსიანად და წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით ტარდება.

შესწავლილ სკოლების დიდ ნაწილში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მეთოდური მუშაობა. შედგენილია სკოლის წლიური სამუშაო. ცალკეულ საგნების წლიური კალენდარული გეგმები და სხვ.

ქვემო სვანეთის რაიონის ლენტეხის საშუალო სკოლაში კარგად არის დაყენებული საგნობრივი წრეების მუშაობა. წრეების გეგმები მოფიქრებულადაა შედგენილი და ნაყოფიერი მუშაობაც მიმდინარეობს.

აღნიშნული მიღწევების მიუხედავად ცაგერისა და ქვემო სვანეთის რაიონების მთელ რიგ სკოლების მუშაობაში არსებით ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლება.

ქართული ენისა და ლიტერატურის ზოგიერთი მასწავლებელი მხატვრულ ნაწარმოებს ასწავლის მშრალად, ზერელედ, კმაყოფილდება ნაწარმოების მხოლოდ შინაარსის გადმოცემით, ან უკეთეს შემთხვევაში გმირთა დახასიათებით და არ ამახვილებს ყურადღებას ნაწარმოების იდეურ მხარეზე. ასე, მაგალითად, ჟახუნდრის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები მ. ონიანი და ა. ონიანი, ჩოლურის საშუალო სკოლის V კლასის

მასწავლებელი რ. ფოჩიანი და ორბელის საშუალო სკოლის VI კლასის მასწავლებელი ნ. ბურჯალიანი მხატვრულ ნაწარმოების შესწავლას აწარმოებენ ზერელედ; არ მიმართავენ ნაწარმოების მხატვრულ ანალიზს, რის გამო მოსწავლეებმა შესწავლილი მასალა არ იციან, ამჟღავნებენ ნაწარმოების ტექსტის უცოდინარობას და არ შესწევთ უნარი მწერლის შემოქმედების დახასიათების დროს გამოიყენონ ნაწარმოების ტექსტი და ცალკე ადგილების ციტირებით გაარკვიონ მწერლის მიზანდასახულება.

ზოგ სკოლაში ქართული ენის სწავლება იფარგლება სახელმძღვანელოში მოთავსებული მაგალითების უაზრო გაზეპირებითა მასწავლებელთა ერთი ნაწილი ქართული ენის გრამატიკის წესებ ს და დებულებებს ასწავლის ლიტერატურული მასალის გამოყენების გარეშე.

ლასურიაშის საშუალო სკოლის VI კლასში (მასწ. ს. მუშკუდიანი) გრამატიკის მასალას ზერელედ ხსნის და სწავლება ფორმალურ ხასიათს ატარებს; ამის შედეგია რომ მოსწავლეებმა არ იციან სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები, ვერ არჩევენ მოქმედებისა და მდგომარეობის გამომხატველ სიტყვებს, არ იციან ზმნის პირები და სხვა. ასეთივე მდგომარეობაა ჩოლურის საშუალო სკოლის VIII კლასში (მასწავლებელი მ. გარდაფხაძე), ლენტეხის საშუალო სკოლის VI კლასში (მასწ. მ. პირველი), ხოფურის რვაწლიან სკოლაში და სხვ.

ბარდნალის რვაწლიანი სკოლის V კლასის (მასწ. თ. ქომეთიანი) მოსწავლეებმა მომზადების დაბალი დონე გამოამჟღავნეს. გაკვეთილი „მორბის არაგვი“ ზეპირად ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ სთქვა, არ იციან გავლილი მასალა. ლექსების „არწივი“, „ავადმყოფი“ და სხვ. მოკლე შინაარსის გადმოცემაც ვერ მოახერხეს; სიტყვის დაბოლოებებს ყლაპავენ, ხშირად ერთსა და იმავეს, მრავალჯერ, მომაბეზრებლად იმეორებენ.

ზოგიერთ შემთხვევაში ცალკეულ კლასებში (ცაგერის XI, X, რვაწლიანი სკოლის VI—V, ჩხუტელის V—VII კლ.) მუშაობა ამოიწურება მოთხრობებისა და ლექსების მექანიკური დაზეპირებით; მოსწავლეებს არ ეხერხებათ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების დაპირისპირება და აქედან შესაფერი დასკვნების გამოტანა. გავლილი მასალა ზერელედ იციან, წინადადებას სწორად ვერ აგებენ, აზრს ამახინჯებენ, შორეული და ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ პოეტურ ფორმებზე, გრამატიკის მასალა უაზროდ გაზეპირებული აქვთ და სხვ.

შემოწმებულ სკოლებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა წერითი მეტყველების განვითარების საქმეს; ამ მხრივ თითქმის ყველა სკოლაში ცუდი მდგომარეობა გვაქვს. მოსწავლეები სწერენ უსუფთაოდ, არ იცავენ აბზაცებს, ინტერვალს, არ იციან რა არის თემის შესავალი, თემის განვითარება, დასკვნა და ამიტომ წერითი თხზულება უმეტეს შემთხვევაში მახინჯია და უმსგავსო.

ცაგერის საშუალო სკოლის XI კლასელები ცუდად სწერენ, მათ ნაწერებში მრავალი სხვადასხვა სახისა და ხასიათის შეცდომებია. მასწავლებლების მიერ ნაწერები უპასუხისმგებლოდ და არასერიოზულად არის გასწორებული.

შემოწმებულ სკოლების დაწყებით კლასებშიაც ცუდად ისწავლება დედაენა. მასწავლებელთა ერთი ნაწილი სრულიად არ უწევს ანგარიშს დაწყებით სკოლაში მუშაობის თავისებურებას და მასალას აწვდის მოსწავლის ასაკის გაუთვალისწინებლად; ამის შედეგია, რომ ხშირად მასწავლებლის საუბარი მოსწავლეებისათვის გაუგებარია.

ჩოლურის საშუალო სკოლის VI კლასში მასწავლებელი დ. ჭაბუკიანი გაკვეთილებს მოუმზადებლად ატარებს, მან არ იცის საგანი.

უხარისხო გაკვეთილებს ატარებს ორბელის საშუალო სკოლის II კლასის მასწავლებელი თ. გვიშიანი. II კლასის მოსწავლეებმა (გვიშიანი ამ კლასს პირველ კლასიდან მოჰყვება) წერა-კითხვა არ იციან. მასწავლებელი ამ მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევს, იგი სკოლის დირექციისთვისაც შეუმჩნეველი დარჩენილა. მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები ახასიათებს რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებას. დაწყებითი კლასების მასწავლებელთა დიდი ნაწილი რუსულ ენას არ არის დაუფლებული, სწორად ვერ ადგენს სამუშაო გეგმას, რუსულ ენაზე ვერ ესაუბრება მოსწავლეებს, არ აქვს საშუალება სწორად წარმართოს გაკვეთილი, თვით მასწავლებლებს არ აქვს სიტყვის საკმაო მარაგი, ვერ იყენებენ თვალსაჩინოებას, უძნელდებათ სალექსიკონო მუშაობის ჩატარება, სიტყვების სათანადო ახსნა, სიტყვების განმტკიცება მოსწავლეთა მეხსიერებაში, მოსწავლეთა ნამუშევრების გასწორება და სხვა. ამის შედეგად, ღარიბია მოსწავლეთა სიტყვიერი მარაგი, არ აქვთ კითხვის სწორი ჩვევა, უძნელდებათ მარტივი საუბარიც კი რუსულად, არადამაკმაყოფილებლად იციან გავლილი მასალა.

თითქმის არც ერთ სკოლაში არ მუშაობს საგნობრივი კომისია, მასწავლებლები არ ასწორებენ საშინაო რვეულებს. სკოლის დირექტორები არ აქცევენ ყურადღებას გამოცდილების ურთიერთგაზიარების მოწესრიგების საქმეს, არ ამოწმებენ მოსწავლეთა წერით

ნამუშევრებს, იშვიათად ესწრებიან რუსული ენის მასწავლებელთა გაკვეთილებს, არ ამახვილებენ პედაგოგიურ საბჭოსა და რუსული ენის მასწავლებელთა ყურადღებას მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე.

საკმაოდ არ იცის რუსული ენა: ლენტეხის საშუალო სკოლის II—IV და V კლ. მასწავლებლებმა ნ. გოგიძემ, გ. გოგიძემ და გ. მუკბანიანმა, ჩოლურის საშუალო სკოლის III და IV კლ. მასწავლებლებმა ჯ. ზურაბიანმა და ჭაბუკიანმა, ტვიშის VII კლ. მასწავლებელმა სამს. ასათიანმა, ლაილაშის საშუალო სკოლის I—IV და V—VI კლ. მასწავლებლებმა დ. მეგრელიშვილმა და ვ. კუბუსიძემ, ხოფურისა და რცხმელურის III, IV და VIII კლასის მასწავლებლებმა რ. ლიპარტელიანმა, ტვილდიანმა და ბენდუკიძემ, ორბელის საშუალო სკოლის II—IV კლ. მასწავლებლებლებმა შ. დევდარიანმა და ლ. ფოფხაძემ, რომ არაფერი ვთქვათ ამ მასწავლებელთა დაბალხარისხოვან გაკვეთილებზე, თვით კალენდარულ გეგმებშიაც კი, რომელნიც მათ მიერ არის შედგენილი დაშკებულია ბევრი უხეში ორთოგრაფიული ხასიათის შეცდომა ისეთ სიტყვებშიც კი, რომელნიც წიგნიდან ან ოფიციალური პროგრამიდან არის გადმოწერილი. თავის მუშაობაში დაწყებითი სკოლის მასწავლებლები მიმართავენ მხოლოდ თარგმნით მეთოდს და ამასთან ხშირად უშვებენ შეუწყნარებელ შეცდომებს; მაგ. ხოფურის რვაწლიანი სკოლის რუსული ენის მასწავლებელმა რ. ლიპარტელიანმა წინადადებაში „Реке и роще привет от нас“ სიტყვა „роще“ თარგმნა „ნაკადულს“, ლაილაშის საშულო სკოლის VI კლ. მასწავლებელმა ე. კუბუსიძემ გამოთქმები: „трава сохнет, снег ложится“ სთარგმნა ასე: „ბალახი გახმა, თოვლი წევს“. ორბელის საშუალო სკოლის VII კლ. რუსული ენის მასწავლებელმა დევდარიანმა ჯამბულის ლექსიდან „Человек“ ფრაზა „О чем я только в песнях пел“ სთარგმნა სიტყვებით: „ნახეთ, თურმე კიდეც უმღერია მასთან“-ო.

მასწავლებლები ხშირად უყურადღებოდ ასწორებენ მოსწავლეთა წერით ნამუშავრებს, საქმე იმაშია, რომ უმეტეს შემთხვევაში მათ არ შეუძლიანთ გაასწორონ წერითი ნამუშევრები იმ უბრალო მიზეზით, რომ ამისათვის საჭირო წიგნიერებაც არ გააჩნიათ. ჯახუნდრის საშუალო სკოლის IV კლ. მასწავლებლის აბ. ონიანის მიერ მოსწავლეთა ნამუშევარში არ არის გასწორებული „с ваней“ იგივე მასწავლებელი არ აქცევს ყურადღებას მოსწავლეთა მიერ ასოების სწორ დაწერას; ლენტეხის საშუალო სკოლის V კლასის მასწავლე-

ბელს მუკბანიანს არ აქვს გასწორებული შეცდომები წინადადებაში „Стала пробудиться и вышли на полях“ ალპანის საშუალო სკოლის მასწავლებელი შ. ჩაკვეტაძე სრულებით არ ასწორებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს; მაგ. XI კლასის მოსწავლის რ. ბ. ნამუშევარში არ არის გასწორებული შეცდომით დაწერილი სიტყვები: „обичное, садо, пошлю мой брата“. მეორე მოსწავლის ნამუშევარში არ არის გასწორებული „посорились, Бата прехал и и принесь, ему примуть“ და სხვ. ამ მასწავლებელს სრულებით არ აქვს გასწორებული სამი მოსწავლის ნამუშევარი. იმავე სკოლის IV კლასის რუსული ენის მასწავლებელი ბ. ფრუიძე არ ასწორებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს, ასეთივე მდგომარეობაა სხვა სკოლების ცალკეულ კლასში.

რუსული ენის მასწავლებელთა უმრავლესობა წერით სამუშაოს ატარებს მოსწავლეთა წინასწარი მომზადების გარეშე, არ ახდენენ ძნელორთოგრამიან სიტყვების სათანადო ანალიზს, არ ამახვილებენ ასეთ სიტყვებზე მოსწავლეთა ყურადღებას; ამის შედეგად მოსწავლეები შეცდომებს უშვებენ გადაწერაშიც.

დაწყებითი კლასებში არ არის გამოყენებული თვალსაჩინოება: ის სურათებიც კი, რომელიც მოცემულია II—IV კლასების სახელმძღვანელოებში სრულებით გამოუყენებელი რჩება, ამიტომ მოსწავლეებმა მტკიცედ არ იციან ლექსიკური პერიოდისათვის განკუთვნილი სიტყვები; ასეთი მდგომარეობაა ლენტეხის და ლაილაშის საშუალო სკოლების II კლასებში, სადაც ანბანის შესწალაზე გადადიან ისე, რომ არ აქვთ ამისათვის საჭირო სიტყვების მარაგი.

სრულიად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აგრეთვე ზოგიერთი სკოლის VIII, XI კლასებში. ძალზე დაბალია ამ კლასების მოსწავლეთა მომზადება ჯახუნდრის, ლენტეხის, ორბელის საშუალო სკოლებში. ამ კლასების მოსწავლეებმა არ იციან გავლილი მასალის შინაარსი, დაბალია მომზადების საერთო დონე, არ აქვთ სიტყვების საკმაო მარაგი, არ ესმით ტექსტში შემავალი ცალკეული სიტყვები, ისეთი სიტყვაც კი, როგორიცაა „Отчизна“ და ხვ. XI კლასის მოსწავლეები საჭირო ხანგრძლივობით და სიღრმით არ მუშაობენ ლიტერატურულ ტექსტებზე, პრაქტიკაში არ არის ნაწარმოებიდან მნიშვნელოვანი ადგილებისა და საჭირო ციტატების ამოწერა და მათი ზეპირად დასწავლა.

ქვემო სვანეთსა და ცაგერის რაიონების სკოლების უმრავლესობაში უცხო ენის სწავლება ამ საგნისათვის სრულიად შემთხვევით პირების ხელშია და არსებითად უცხო ენების სწავლება, მცირედი გამონაკლისის გარდა, ჩაშლილია.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას **ისტორიის სწავლება** ცაგერის რაიონის შესწავლილ სკოლებში; ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ისტორიის მასწავლებლები თავისთავზე არ მუშაობენ, არ ზრუნავენ იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის და სწავლების მეთოდებისა და ხერხების სრულყოფისათვის. ისტორიის მასწავლებლების უმეტესობა ვერ ახერხებს გაკვეთილის მიზნის სწორად განსაზღვრას.

მასწავლებლების უმეტესობა კმაყოფილდება ისტორიული ფაქტების უბრალო თხრობით, არ ახდენს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთ შედარება-დაპირისპირებას, განზოგადებას და შესაფერი დასკვნების გამოტანას, არ აწარმოებს იმის სისტემატურად შემოწმებას, თუ რამდენად მტკიცედ და გააზრებულად აქვთ მოსწავლეებს შეთვისებული შესწავლილი მასალა, არ ატარებს გავლილ მასალის სისტემატურ გამეორებას, არ იყენებს თვალსაჩინოებას და სხვა.

ამის შედეგად, მოსწავლეებს არ აქვთ გავლილი მასალის მტკიცე ცოდნა, არ შესწევთ ისტორიული მოვლენების გარჩევისა და შეფასების უნარი, სუსტად იციან ფაქტიური მასალა, ზოგ შემთხვევებში კი მათ სრულებით არ შეუძლიათ კურსის ძირითად საკითხებზე პასუხის გაცემა.

ცაგერის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ი. საღინაძე) არაფერი იციან კიევის სახელმწიფოს წარმოშობისა და მისი კულტურის შესახებ; არ იციან თუ როდის მოხდა ქრისტიანობის შემოღება კიევის რუსეთში; არ იციან თემა „უძველესი მონათმფლობელური სახელმწიფოები კავკასიასა და შუა აზიაში“ —არ აქვთ წარმოდგენა ურარტუს კულტურის შესახებ და სხვა.

ამავე სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი კ. გოდოლაძე) არაფერი იციან ბულიგინის სათათბიროს, მეფის 17 ოქტომბრის მანიფესტის, დეკემბრის აჯანყების შესახებ და სხვ.

ცაგერის რაიონის ლასურიაშის საშუალო სკოლის მე 8 კლასის მოსწავლეების დიდმა ნაწილმა (მასწავლებელი რ. ჩიკვაიძე) მორიგი გაკვეთილის მასალა „მინუსტერის კომუნა“ სრულებით არადამაკმაყოფილებლად იცოდა. საერთოდ, ამ სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებს არ აქვთ გამომუშავებული თანმიმდევრული, დალაგებული

თხრობითი გადმოცემის უნარი, მასალას უსისტემოდ გადმოსცემენ და დაუსრულებლად იმეორებენ ერთსა და იმავეს. არც გავლილი მასალა, იციან ამ კლასში. მაგალითად, მოსწავლეების დიდმა ნაწილმა არ იცის, რა სახის ეკონომიური ცვლილებანი მოჰყვა დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს; არ იციან მაგელანის მოგზაურობის შესახებ; არ იციან რას ეწოდება რეფორმაცია და სხვა.

ცაგერის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მასწავლებელმა ი. ბრეგვაძემ თემა—„ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობა"—ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე გადასცა, რის შედეგადაც მიწოდებული მასალა მოსწავლეებისათვის ბუნდოვანი იყო. აღნიშნულ კლასის მოსწავლეებმა არაფერი იციან მეროვინგების დროის ფრანკთა სახელმწიფოს შესახებ, მხოლოდ ერთმა მოსწავლემ შესძლო ფეოდალური საზოგადოების ძირითადი ნიშნების დასახელება და ნატურალური მეურნეობის განმარტება.

შესწავლილი მასალის სუსტ ცოდნას ამჟღავნებენ სოფ. ბარდნალის 8-წლიანი სკოლის (მასწ. ნ. გელენიძე) V და VI და ცაგერის დაწყებითი სკოლის (მასწ. გ. კახიძე) მე-4 კლასების მოსწავლეები.

არადამაკმაყოფილებელია ისტორიის წრეების მუშაობა, სათანადოდ არ არის შერჩეული თემები, ზოგ სკოლაში V—XI კლასებისათვის ერთი წრეა ჩამოყალიბებული, წრეობრივ მუშაობას არ აქვს სისტემატური ხასიათი, ხოლო ზოგიერთ სკოლაში (ლასურიაშის საშუალო და ბარდნალის 8-წლიან სკოლაში) წრეობრივი მუშაობა სავსებით ჩაშლილია.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას არითმეტიკის სწავლება დაწყებით კლასებში. ყურადღება არ ექცევა ზეპირი ანგარიშის კულტურას. მასწავლებლები არ ცდილობენ, რომ მოსწავლეებში დანერგონ სუფთა წერის ჩვევები. მაგალითად, ცაგერის რაიონის ბარდნალის რვაწლიანი სკოლის I—II კლასის (მასწ. თ. ჩარკვიანი) მოსწავლეები რვეულში ფანქრით სწერენ უსუფთაოდ, უვარგისია ციფრთა დამწერლობა და სხვა. იმავე სკოლის IV კლასის (მასწ. ლ. ჩაკვეტაძე) მოსწავლეებმა არ იციან სიგრძის და დროის საზომი ერთეულები. წარმოდგენა არ აქვთ „დმ" რა სიგრძის არის და ეხლა რომელი საუკუნეა, არ იციან ზეპირი გამოკლება რიცხვების თანრიგებად დაშლით, ორნიშნა რიცხვების გამრავლება 3-ზე და სხვა.

მოსწავლეებმა ვერ შესძლეს (627—585; 718—664) გამოკლება, 16-ის, 17-ის, 48-ის 3-ზე გამრავლება და სხვა.

ცაგერის რაიონის ალპანის საშუალო სკოლის V კლასის მასწავლებელი კ. ფრუიძე არითმეტიკულ დებულებებს დაუმტკიცებლად

აძლევს მოსწავლეებს, ამის შედეგად ზოგიერთი ჩვენა მოსწავლეებ-
ში განუმტკიცებელი რჩება. მოსწავლეებს არ აქვთ შეთვისებული ამ-
ოცანის ამოხსნის ძირითადი მომენტები, არ იციან რიცხვთა გა-
ყოფადობა, მარტივი და შედგენილი რიცხვები. მოსწავლეთა მიერ
დაშვებულ შეცდომებს მასწავლებელი არ ასწორებს. მაგალითად,
დაფასთან გამოსულმა მოსწავლემ რიცხვი 588 შეცდომით დაშალა
(588=2.2.3.6.7), მასწავლებელმა ეს შეცდომა ვერ შენიშნა, ახალი
მასალის ახსნისას უშვებს შეცდომებს და მოსწავლეებს არასწორ
განმარტებებს აძლევს.

ალგებრაში დაბალ ცოდნას ამჟღავნებენ ცაგერის რაიონის
ლაილაშის (მასწ. აკ. ქარსელაძე) საშუალო, ზუბის (მასწ. აკ. მანდა-
რია) და ჩხუტელის (მასწ. ი. მუშკუდიანი) რვაწლიანი სკოლის VI—
VII კლასის მოსწავლეები.

ზუბის რვაწლიანი სკოლის VI კლასის მოსწავლეებს მექანიკურად
აქვთ დაზეპირებული ხარისხის და კოეფიციენტის განმარტება,
რის გამოც ვერ შესძლეს $aabbb+aabbb+aabbb$ გამოსახვის შემოკ-
ლებულად და $2a^2b$ გამოსახვის უკოეფიციენტოდ დაწერა. ლაილა-
შის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ალგებრულ გამოსახვათა
რიცხვითი მნიშვნელობის გამოანგარიშებისას გამოიჩინეს ზეპირი
ანგარიშის და წილადების სუსტი ცოდნა.

ჩხუტელის რვაწლიანი სკოლის VII კლასის მოსწავლეებმა არ
იციან შეფარდებითი რიცხვების შეკრება, გამოკლება, გამრავლება
და გაყოფა, ერთწევრებისა და მრავალწევრების გამრავლება, შე-
მოკლებული გამრავლების ფორმულები, მრავალწევრთა გაყოფა და
სხვ. მოსწავლეებმა ვერ შესძლეს $2a^{m+1}b^{k+2}$ და $3a^{n-1}b^{m-n}$; $(a+2)$ და
$(a-2)$; $(2+x)$ და $(4-2x+x^2)$ გამრავლება. მასწ. ი. მუშკუდიანი
უპასუხისმგებლოდ ეკიდება საკონტროლო წერის თემების შერჩევას.
მაგალითად, 29/IX-ს VIIა კლასში გაკვეთილზე ამოხსნილი მაგა-
ლითი მრავალწევრთა გაყოფაზე, 9/X-ს VIIა—VIIბ კლ. საკონტ-
როლო წერაზე მისცა.

ცაგერის (მასწ. დ. შკუბულიანი) და ოყურეშის (მასწ. კ. ასლანიკა-
შვილი) საშუალო სკოლის XI კლ. მოსწავლეებმა ვერ განმარტეს,
თუ როგორ შეერთებას ეწოდება წყობა, გადანაცვლება და ჯუფ-
თება, ვერ შესძლეს წყობათა, გადანაცვლებათა და ჯუფთებათა
რიცხვის ფორმულების გამოყვანა. მოსწავლეთა სამუშაო რვეულე-
ბიდან ჩანს, რომ შეერთებათა თეორიაზე ამოხსნილ მაგალითების
და ამოცანების რიცხვი მცირეა. არ იციან მეორე წევრით განსხვა-
ვებულ ბინომთა ნამრავლის თვისებები და სხვ.

ახალ მასალას მასწავლებლები ლექციური მეთოდით ამუშავებენ; კლასში ამოხსნილ მაგალითებს მოსწავლეები რვეულებში არ იწერენ და სხვ.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ქვემო სვანეთის ლენტეხის საშუალო სკოლის IX კლასის მასწავლებელი კ. მუსელიანი.

გეომეტრიის სწავლების საქმეში რიგი სკოლების მასწავლებლები თვალსაჩინოებას არ უთმობენ სათანადო ადგილს; არ იყენებენ თვითნაკეთ მოდელებს, არ აქცევენ ყურადღებას მოსწავლეებში ლოგიკური მსჯელობის განვითარებას და გეომეტრიულ სივრცითი წარმოდგენების გამომუშავებას. ცაგერის რაიონის ბარდნალის რვაწლიანი სკოლის VII კლასის (მასწ. ა. გერგედავა) მოსწავლეებმა ვერ განმარტეს წრეხაზი, რადიუსი, დიამეტრი, ქორდა, ბისექტრისა და სხვ. ლაილაშის საშუალო სკოლის VII კლ. მასწავლებელი აკ. ქარსელაძე არ უკვირდება მეტყველებას—წერტილის, მონაკვეთის და სამკუთხედის შესახებ ლაპარაკობს, როგორც ცოცხალ არსებაზე, მაგალითად,—„ვინ არის ეს მონაკვეთი", „ვისი პროექციაა ეს ნაკვეთი" და სხვ.

ოყურეშის (მასწ. კ. ასლანიკაშვილი) და ლასურიაშის (მასწ. გ. ცხვედიანი) საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა არ იციან პრიზმისა და პარალელოპიპედის განმარტება, მართკუთხა პარალელოპიპედის დიაგონალების თვისება, დახრილი და მართი პრიზმის პირეული და სხვ. მასწავლებელი გ. ცხვედიანი მოსწავლეთა შეფასებაში იჩენს ლიბერალიზმს. მაგალითად, 1949/50 სასწავლო წელს სიმწიფის ატესტატზე ჩატარებული წერითი ნამუშევრები გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში, რომლებშიაც ყველას მიერ დაშვებული იყო ერთიდაიგივე ხასიათის უხეში შეცდომები შეაფასა „3"-ზე.

ქვემო სვანეთის რაიონის ლენტეხის (მასწ. კ. ჩაკვეტაძე) და ცაგერის რაიონის ტვიშის (მასწ. ნ. ფრუიძე) საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებს ტრიგონომეტრიაში არ აქვთ მტკიცე და საფუძვლიანი ცოდნა. ცაგერის რაიონის ოყურეშის (მასწ. კ. ასლანიკაშვილი) საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა არ იციან გრადუსული გაზომვიდან რადიანულზე გადასვლა და ტრიგონომეტრიული ფუნქციების ცვლა კუთხის 0°-დან 360°-დე. მასწავლებელი გაკვეთილისათვის არ ემზადება და მასალის ახსნისას უშვებს შეცდომებს. მაგალითად, მოცემული ტრიგონომეტრული ფუნქციის $tg\alpha = 1$ კუთხის აგება მოსწავლეებს არასწორად გააცნო. იმავე სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა არ იციან მართკუთხა სამკუთ-

ხედების ამოხსნის კერძო შემთხვევები, თანაფარდობა გვერდებსა და კუთხეებს შორის ირიბკუთხა სამკუთხედებში და სხვა.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ფიზიკა შემოწმებული რაიონების თითქმის ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლაში. სკოლებში არ სრულდება სამინისტროს 1948 წლის 2 ნოემბრის ბრძანება № 331—ფიზიკის სწავლების გაუმჯობესების შესახებ.

სკოლებში არ არის გამოყოფილი ოთახები ფიზიკის კლას-ლაბორატორიებისათვის, ნაკლები ყურადღება ექცევა კაბინეტებისათვის საჭირო დგამ-ავეჯის შეძენას, არ სწარმოებს კაბინეტების გეგმიანად შევსება, არ არის ჩატარებული კაბინეტების ზუსტი აღრიცხვა და მათი გაპიროვნება საგნის მასწავლებლებზე, ცუდადაა მოვლილი კიბინეტებში არსებული ხელსაწყოები და არ სწარმოებს მცირედად დაზიანებული ხელსაწყო-იარაღების შეკეთება, აწყობა და რეგულირება. ცაგერის საშუალო სკოლაში რამდენიმე ათეული ათასი მანეთის ფიზიკური ხელსაწყო-იარაღებია დაზიანებული. კაბინეტში დაგროვილია რამდენიმე ეგზემპლარი ერთგვაროვანი ხელსაწყო. კაბინეტში აღმოჩნდა 50 კომპლექტი ლაბორატორიული შტატივი, 4 ცალი ცენტრიდანული მანქანა, 3 ცალი ჰიდრავლიკური წნეხი, 5 ცალი ორთქლის მანქანის ჭრილი, 6 ცალი ტინდალის ხელსაწყო, 40-ზე მეტი სპირტნათურა, 5 ცალი მიკროსკოპი და სხვა; ამავე დროს, სკოლას არ აქვს ლაბორატორიისათვის საჭირო ძირითადი ხელსაწყოები (ვოლტმეტრი, ამპერმეტრი, კალორიმეტრი, თერმომეტრი, დენის წყარო და სხვა). რაიონის საშუალო და რვაწლიან სკოლებში არ არის ჩატარებული კაბინეტების ინვენტარიზაცია.

ცუდად არის დაყენებული კაბინეტების მოვლა-აღრიცხვის საქმე ოყურეშის, ორბელის, ლასურიაშის და ჩოლურის საშუალო სკოლებში

ზოგ სკოლაში ფიზიკას ასწავლის არასპეციალისტები და საათები განაწილებულია რამდენიმე მასწავლებელზე, რის გამოც ფიზიკის სწავლების საქმე ასეთ სკოლებში გაუპიროვნებელია; ორბელის საშუალო სკოლაში ფიზიკას 5 მასწავლებელი ასწავლის, აქედან 3 არის მათემატიკის მასწავლებელი, ერთი ბუნებისმეტყველი და ერთიც ისტორიკოსი (ნემსიწკერიძე), ლასურიაშის საშუალო სკოლაში ფიზიკის საათები განაწილებულია სამ მასწავლებელზე—ერთი მასწავლებელი ფიზიკის საშუალო განათლებითაა, ჯახუნდრის საშუალო სკოლაში ერთ-ერთი ფიზიკის მასწავლებელი—ისტორიკოსია და სხვა.

ფიზიკის მასწავლებლები ნაკლებად ზრუნავენ კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ოყურეშის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწ. ნ. გაბადაძე ვერ ერკვევა თავის საგნის სწავლების არსებით მეთოდურ საკითხებში; არ იცნობს მეთოდურ ლიტერატურას, საგნის სწავლებას აწარმოებს ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე; არ ემზადება გაკვეთილებისათვის, ვერ აკავშირებს ახალ მასალას გავლილ მასალასთან. მასწავლებელმა მე-11 კლასში 35 წუთი მოანდომა რეოსტატების გამოკითხვას. ამ საკითხზე მან 4 მოსწავლე გამოკითხა და ოთხივეს ერთი და იგივე მასალა მოაყოლა (ბერკეტიანი რეოსტატები). ამავე გაკვეთილზე მასწავლებელმა ახსნა „ომის კანონი", რომლის დამუშავებას მან 10 წუთი მოანდომა. მასალა არასწორად იყო დამუშავებული, მასწავლებელმა ვერ ჩამოაყალიბა გაკვეთილის მიზანი და არასწორად შეადგინა ნახაზი (ვოლტმეტრი ელექტროწრედში ჩართო მიმდევრობით). მოსწავლეებისათვის მასალა გაუგებარი დარჩა.

ლასურიაშის საშუალო სკოლის მასწავლებელი გ. ცხვედიანი მოსწავლეებს ასწავლის არაპროგრამულ მასალას. მან მე-9 კლასში დაამუშავა თანაბარცვლადი ძრაობის დროს ტოლ შუალედებში მანძილების შეფარდება.

არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს ცაგერისა და ლაილაშის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებლების დ. შკუბულიანისა და გიორგობიანის მუშაობა. მათ მუშაობაში ადგილი აქვს წმინდა წყლის ფორმალიზმს, ისინი კმაყოფილდებიან მასალის უბრალო თხრობით, არ ამოწმებენ მასალის შეგნებულად ათვისებას, საკმაოდ არ იყენებენ საამისოდ ნაცად ხერხებს.

სკოლების შემოწმებით ნათლად დადასტურდა, რომ მასწავლებლები არ იყენებენ თვალსაჩინოების იმ შესაძლებლობასაც, რაც სკოლებს გააჩნიათ. მასწავლებლები ვერ ფლობენ კაბინეტებში არსებულ ხელსაწყო-იარაღებს. ორბელის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეები არ იცნობენ ცდას ტინდალის კუმშვის ხელსაწყოებზე და სითბოტევადობაზე, იმ დროს, როდესაც სკოლაში ამ ხელსაწყოების რამოდენიმე კომპლექტი მოიპოვება, ამავე სკოლის მასწ. ლარცულიანმა მე-10 კლასში ვერ გამოიყენა ფრამის რეზონატორი და ქანქარი რხევის კანონის შესწავლის დროს; ცაგერის საშულო სკოლაში საკმაოდ მდიდარი კაბინეტი გამოუყენებელია.

ტვიშის საშუალო სკოლაში ელექტრობა ისწავლება დენის წყაროს გარეშე, ეს იმ დროს, როდესაც სკოლიდან რამდენიმე

მეტრის დაშორებით მშვენიერი ელგანათება აქვს მთელ სოფელს ადგილობრივი ჰიდროელსადგურიდან.

მასწავლებელთა ცუდი მუშაობისა და საგნის სწავლებაში ფორმალიზმის შედეგად მოსწავლეთა მომზადება ფიზიკაში დაბალია, მაგ. ცაგერის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან სიჩქარისა და აჩქარების ცნებას, ამავე სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებს არ აქვთ ფიზიკური წარმოდგენა ზომის ერთეულებზე; ორბელის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებმა ვერ განმარტეს წყლის სითბური გაფართოების თავისებურება, ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებენ „კონვექციას“ და „სითბოგამტარობას“, არ აქვთ წარმოდგენა „გამოსხივებაზე“, ამავე სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებმა წიგნიდან გაზეპირებული სიტყვებით განმარტეს „ხვედრითი წონა“, მაგრამ კლასის ყველა მოსწავლე ამტკიცებდა, რომ ცარცის „დიდ ნატეხს მეტი ხვედრითი წონა აქვს, ვიდრე პატარასაო“, ამავე აზრის არიან ისინი რკინის ნაჭრების შესახებაც, ამ კლასის მოსწავლეებმა ვერ მოხაზა კვ. დეციმეტრი და კვ. მეტრი. ლასურიაშის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეებმა ვერ განმარტეს „პოტენციალი“, „დაძაბულობა“, „ელექტროტევადობა“, არ იციან, როგორ არის მოწყობილი კონდენსატორები და სხვა. ლაილაშის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებმა არ იციან შეგნებულად ქანქარის მოძრაობის ძირითადი კანონები. ვერ მარტავენ, რა არის ამპლიტუდი, პერიოდი, სიხშირე, ტალღის სიჩქარე და სხვა. ოყურეშის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები დარწმუნებულნი არიან, რომ ერთი კუბ. სანტ. რკინა 500 კგ-ს აიწონის. ამავე სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეებს წარმოდგენა არ აქვთ ელექტროწრედის შედგენაზე, არ იციან განსხვავება ვოლტმეტრსა და ამპერმეტრს შორის და სხვა.

სუსტად არის დაყენებული ქიმიის სწავლება ჩოლურის საშუალო სკოლაში (მასწ. გრ. დვალაძე). ამ სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეებმა არ იციან ქიმიური ტოლობების წერა. არ იციან რას ეწოდება ქლორიდები, ნიტრატები, სულფატები, ვერ ანსხვავებენ ერთმანეთისაგან ატომისა და ატომურ წონას, ვერ განმარტავენ მენდელეევის პერიოდულ კანონს, სუსტი წარმოდგენა აქვთ პერიოდებსა და ჯგუფებზე. არ იციან დადებითი და უარყოფითი ვალენტოვნების არსი და სხვ. მოსწავლეებს სრულებით არ გააჩნიათ თვით ელემენტარული პრაქტიკული ჩვევანი და არ შეუძლიათ ამოხსნან მარტივი ამოცანებიც კი. მასწავლებელი უხვად აწვდის

მოსწავლეებს ყოველი სახის მცდარ განმარტებებს: „სხვადასხვა ელექტრონი ერთმანეთს გაურბის“, „ნატრიუმის ორბიტებზე 48 ელექტრონია“, „ჟანგბადის გარე გარსზე ორი ელექტრონია“ და სხვ.

მე-10 კლასის მოსწავლეები ვერ სწერენ ქიმიურ ნაერთთა მარტივ ფორმულებს, არ აქვთ წარმოდგენა ჰიდროქსილის ჯგუფზე, არ იციან კოეფიციენტების გათანაბრება, წარმოდგენა არ აქვთ ელემენტთა ვალენტოვნების შესახებ და სხვა.

მასწავლებელი დაუფლებული არ არის საგანს. არ ემზადება გაკვეთილებისათვის, არ კითხულობს დამხმარე ლიტერატურას. სკოლის ქიმიის კაბინეტი შეუვსებელი, მოუწესრიგებელია, კაბინეტი საგნის სწავლების პროცესში სრულებით გამოუყენებელია.

სუსტად არის ქიმიის სწავლება დაყენებული ბარდნალისა (მასწ. ნ. ბრეგვაძე) და ზუბის რვაწლიან (მასწ. მუშკუდიანი) სკოლებში. ამ სკოლების მე-8 კლასის მოსწავლეებს არ ესმით ქიმიურ რეაქციათა, ტიპები, ნარევები და ქიმიური ნაერთი. წარმოდგენა არ აქვთ ატომსა და მოლეკულებზე და სხვა, სკოლაში სწავლების პროცესში არ ჩატარებულა არც ერთი ექსპერიმენტი. მასწავლებლები მხოლოდ ზეპირსიტყვიერად ასწავლიან საგანს. არც ერთ სკოლას არ გააჩნია ქიმიის რეაქტივის რომელიმე სახე და ხელსაწყო-მოწყობილობა. მასწავლებლები ბრეგვაძე და მუშკუდიანი საგანს ვერ ფლობენ.

ჯახუნდრის, ალპანის, ტვიშის საშუალო სკოლებში არ არის ქიმიის კაბინეტები, რის გამო საგნის სწავლება მხოლოდ ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობს. მოსწავლეებს არ გააჩნიათ არავითარი პრაქტიკული ჩვევა. საგნის მასწავლებლები არ ზრუნავენ კაბინეტების მოწყობასა და მათი შევსებისათვის. არ მიმართავენ სწავლების პროცესში ამოცანების ამოხსნას, ექსკურსიის გამოყენებას და სხვა.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ბიოლოგიის სწავლებაც. ჩოლურის საშუალო სკოლის მე-6 კლასის (მასწ. გრ. დვალაძე) მოსწავლეებმა არ იციან რატომ ამყნიან ვაზს, როგორია ჭარხლის სახეები, როგორ მცენარეებს ეწოდება ორწლოვანი მცენარეები, როგორს ორლებნიანი მცენარეები და სხვ. მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ მიჩურინი მე-9 საუკუნეში გარდაიცვალაო. კლასში არ არის სახელმძღვანელოები. მასწავლებელი არ იყენებს სასწავლო კაბინეტს. მოსწავლეთა ჩანაწერები უვაუგისია. სკოლას არ გააჩნია მიწის ნაკვეთი და სხვ.

ბარდნალის რვაწლიანი სკოლის (მასწ. ბრეგვაძე) მოსწავლეებს ცუდათ აქვთ შეთვისებული გავლილი მასალა, არ გააჩნიათ პრაქტიკული ჩვევები. ეს მასწავლებელიც თავის პედაგ. მუშაობაში მხოლოდ ზეპირსიტყვიერებით კმაყოფილდება.

ზუბის რვაწლიან სკოლაში (მასწ. მუშკუდიანი) მოსწავლეებმაც სუსტად იციან გავლილი მასალა. სწავლების პროცესში თვალსაჩინოებას არ იყენებენ. მასწავლებელი ვერ ფლობს საგანს, უშვებს შეცდომებს. ბიოლოგიის სწავლებისათვის საჭირო პირობები არ არის შექმნილი ჯახუნდრის, ლენტეხის, ალპანის, ტვიშის საშუალო სკოლებში და რცხმელურისა და ხოფურის რვაწლიან სკოლებში. ამ სკოლებს არ გააჩნია ბიოლოგიის შესაფერისი კაბინეტები (სწავლება სწარმოებს ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე), არ აქვთ სასწავლო-საცდელი ნაკვეთი.

ზოგ სკოლაში მიწის ნაკვეთი მხოლოდ წმინდა მატერიალური მიზნებისათვისაა გამოყენებული და არა სასწავლო მიზნით.

ზოგიერთ სკოლაში სრულ უპასუხისმგებლობას აქვს ადგილი კაბინეტების კეთილმოწყობისა და მათი გამოყენების საქმეში. ჩოლურისა და ტვიშის საშუალო სკოლებში (ჩოლურის სკოლა: დირექტორი ი. კიკვიძე, სასწავლო ნაწილის გამგე ნ. ჯინჭარაძე, ტვიშის სკოლა: დირექტორი კლ. გოდოლაძე, სასწავლო ნაწილის გამგე ი. მანაგაძე) ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების მოწყობილობა ერთ პატარა ოთახშია შეყრილი, ხელსაწყოების დიდი ნაწილი დაჟანგულია, დამტვერილი და დაზიანებული. არ აქვთ კაბინეტების ინვენტარის აღწერა. სრულებით არ სწარმოებს სწავლებაში კაბინეტების გამოყენება, საგნის მასწავლებლებმა არც იციან კაბინეტების შედგენილობა.

ტვიშის საშუალო სკოლაში სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ სასწავლო ხელსაწყო-იარაღების სწავლების პროცესში გამოყენების საქმეში; ა. წ. მაისში მიღებული ფიზიკის ხელსაწყოები ოთხი დიდი ყუთის სახით დღესაც არ არის გახსნილი და გამოყენებული

რიგ სკოლაში არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებას. ადგილი აქვს მოსწავლეთა განთესვის შემთხვევებს; ჩოლურის საშუალო სკოლიდან განთესილია 16 მოსწავლე, ლენტეხის საშუალო სკოლიდან—28, ლაილაშის საშუალო სკოლიდან—10, ორბელის საშუალო სკოლიდან—33 და ბარდნალის რვაწლიან სკოლიდან—11 მოსწავლე. სკოლიდან განთესილ მოსწავლეთა დაბრუნებისათვის ზომები მიღებული არ არის. ზოგ სკოლაში არ არის მოსწავლეთა მოძრაობის წიგნი.

ალსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა საკმაო ნაწილი ხშირად არასაპატიო მიზეზით გაკვეთილებს აცდენს, რაც იწვევს აკადემიურად ჩამორჩენას და ჰქმნის პირობებს სკოლიდან ჩამოშორებისა; ლენტეხის საშუალო სკოლაში 1-ლ სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე 249 მოსწავლის მიერ უმიზეზოდ გაცდენილია 1106 გაკვეთილი, ჯახუნდრის საშუალო სკოლის X კლასში 25 მოსწავლიდან 20 სექტემბერს გაკვეთილებს არ დაესწრო 12 მოსწავლე. მსგავსი მდგომარეობაა ჩოლურის საშუალო სკოლაშიც.

გვხვდება აგრეთვე მასწავლებელთა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის სრულიად მიუტევებელი შემთხვევებიც. ტვიშის საშუალო სკოლაში 1-ლი სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე გაცდენილია 15 გაკვეთილი. ამავე სკოლაში სადეკრეტო შვებულებაში გასულ ქიმია-ბუნებისმეტყველების მასწავლებლის საათები მთელი თვის მანძილზე ცდება, მის მაგივრად სკოლაში დროებით შემცვლელ მასწავლებლად არავინაა დანიშნული.

29 სექტემბერს XI კლასში გაცდა 4 გაკვეთილი—ქიმია, ასტრონომია, ხაზვა, ფიზიკა; ჩატარდა მხოლოდ რუსული ენა და ფიზკულტურა. მსგავსი მდგომარეობაა ჩოლურის საშუალო სკოლაშიც.

გაკვეთილების სამეცადინო ცხრილი ყველგან ჯერაც არ არის შედგენილი. ჯახუნდრისა და ტვიშის საშუალო სკოლებში 10 ოქტომბრისათვის არ იყო შედგენილი გაკვეთილების სამეცადინო ცხრილი.

ზოგ სკოლის სამეცადინო ცხრილში რთულ სასწავლო საგნებს წინ უსწრებს ფიზიკური მომზადება, ხატვა, ხაზვა და სხვ.

რიგ სკოლებში კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები სრულიად ერთფეროვანია, ხშირად ერთმანეთის უბრალო ასლს წარმოადგენს და არ გამოხატავს კონკრეტულად, კლასისათვის გათვალისწინებულ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსისა და ფორმების თავისებურებას.

ამას გარდა, ჩოლურისა და ტვიშის საშუალო და ბარდნალის რვაწლიან სკოლებში კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები შედგენილია უწიგნურად და მოუფიქრებლად. ზუბის რვაწლიან სკოლის V კლასის ხელმძღვანელი პ. ჩაკვეტაძე, „წინდახედულად“ გეგმაშივე ითვალისწინებს „მოსწავლის უსადილოდ დატოვებას თუ გაკვეთილი არ ეცოდინება.“

შემოწმებულ სკოლებში სათანადო სიმაღლეზე არ სდგას კლასგარეშე კითხვა, სასკოლო ბიბლიოთეკები მოუწესრიგებელია, წიგნადი ფონდი ღარიბია, არ არის შედგენილი კლასგარეშე საკითხავი წიგნების სარეკომენდაციო სიები.

არ მუშაობენ მოსწავლეთა თვითმოქმედი წრეები და სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა ორგანიზაციების მუშაობას. ბევრ სკოლაში არ ხორციელდება კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებლების მუშაობაზე. რცხმელურისა და ბარდნალის რვაწლიანი სკოლის დირექტორები არ ესწრებიან მასწავლებელთა გაკვეთილებს და არ ახდენენ მოსმენილი გაკვეთილების ფიქსირებას და პედსაბჭოზე განხილვას.

დღემდე ჯახუნდრის საშუალო სკოლის დირექტორს მოსმენილი აქვს მხოლოდ 4 გაკვეთილი, ლასურიაშის სკოლის დირექტორს— 5 და სხვ.

სრულიად უხარისხოა მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი ბარდნალის რვაწლიანი სკოლის დირექტორის ნ. გელენიძისა. ის ყველა საგნის მასწავლებელს ერთსა და იმავე მითითებებს აძლევს: „მასწავლებელმა უპირველეს ყოვლისა შეადგინოს გაკვეთილის დღიური, სამუშაო გეგმა“, „ყურადღება მიაქციოს გაუგებარი სიტყვების ახსნის განმარტებას, რათა ადგილი არ ექნეს ზუბრიაკულ გამოთქმებს“ და სხვ. ამ სკოლაში ადგილი აქვს საგამოცდო ინსტრუქციის დარღვევის შემთხვევებსაც: VII კლასის მოსწავლე დ. ჩიქოვანი, რომელსაც საშემოდგომო გამოცდა ჰქონდა ალგებრაში, გამოცდაზე ჩაიჭრა და პედსაბჭოს დადგენილებით დატოვებული იქნა იმავე კლასში: სკოლის დირექტორმა თვითნებურად გადაიყვანა იგი შემდეგ კლასში.

სრულებით შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული ჩოლურის, ორბელის, ალპანის, ტვიშის საშუალო, ხოფერის, რცხმელურის, ჩხუტელის და ზუბის რვაწლიანი სკოლები. აღნიშნულ სკოლებს არ გააჩნიათ სასკოლო ეზო. სკოლების შენობები უვარგისია. უმეტეს შემთხვევაში ავარიულ მდგომარეობაშია (ორბელი, ტვიში, რცხმელური). რცხმელურის რვაწლიან სკოლას, ამას გარდა, აშკარა საშიშროება მოელის მდინარე ცხენისწყლისაგან.

შემოწმებული სკოლები არაა უზრუნველყოფილი სათბობი მასალით. ქვემო სვანეთისა და ცაგერის რაიონების განათლების განყოფილებები და პედაგოგიური კაბინეტები სუსტად ხელმძღვანელობენ რაიონის სკოლების მუშაობას, არ ღებულობენ ქმედითი ღონისძიებებს სკოლების მუშაობაში არსებული ნაკლის გამოსწორებისათვის.

გამომდინარე აქედან

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს ქვემო სვანეთისა და ცაგერის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) უზრუნველყონ აღნიშნული ბრძანების განხილვა ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და მასწავლებელთა რაიონულ თათბირებზე, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა უახლოეს დროში გამოსასწორებლად.

ბ) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ დებულებების, ინსტრუქციებისა და მითითებების სკოლებში ურყევად გატარებაზე; მიაღწიონ იმას, რომ პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე სისტემატურად იხილებოდეს ცალკეული საგნის სწავლების გაუმჯობესების, წერითი მუშაობის დაყენების, კლასის ხელმძღვანელის მუშაობისა და სხვ. საკითხები და ღებულობდნენ მეთოდურად და პედაგოგიურად სწორ და ეფექტურ ღონისძიებებს, რომლებიც ნამდვილად გაუწევს დახმარებას მასწავლებლებს სწავლების არსებითად გაუმჯობესების საქმეში.

გ) აღკვეთონ სკოლის სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გეგმებისადმი ზერელე და ფორმალური დამოკიდებულება, მასწავლებლების გაკვეთილებზე დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების მიერ უსარგებლო და ფორმალური დასწრების პრაქტიკა.

დ) განსაკუთრებული კონტროლისა და ყურადღების საგნად გაიხადონ ამ ბრძანებაში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებელთა საქმიანობა, აღმოუჩინონ მათ დახმარება და მიაღწიონ იმას, რომ ეს მასწავლებლები სისტემატურად მუშაობდნენ თავისთავზე, საფუძვლიანად ემზადებოდნენ გაკვეთილისათვის, იყენებდნენ თვალსაჩინოებას და აწვდიდნენ მოსწავლეებს წიგნიერსა და სრულფასოვან ცოდნას.

ე) სასწრაფოდ შეამოწმონ რაიონის რვაწლიან და საშუალო სკოლებში კაბინეტ-ლაბორატორიების მდგომარეობა და შემოწმებით გამოვლინებულ ნაკლთა გამოსასწორებლად მიიღონ საჭირო ზომები.

ვ) შექმნან რაიონის ცენტრალურ სკოლებში ფიზიკა-ქიმიის კლასლაბორატორია, შეარჩიონ ამ სკოლებისათვის ფიზიკა-ქიმიის გამოცდილი მასწავლებლები და დაავალონ მათ სისტემატური დახმარების გაწევა რაიონის სხვა სკოლების ამ საგნების მასწავლებელთათვის. აკრძალონ ფიზიკის მასწავლებლების ხშირი ცვალებადობა და ფიზიკის საათების დაქუცმაცება რამდენიმე მასწავლებელზე განაწილებით.

ზ) გადაუდებლად უზრუნველჰყონ განათლების სამინისტროს 1950 წლის 7 ივლისის № 1793 ბრძანების განხორციელება და მიაღწიონ

იმას, რომ დაწყებით კლასებში რუსულ ენას ასწავლიდნენ ამ ენას ნამდვილად დაუფლებული მასწავლებლები, პირველ რიგში ღონისძიება გაატარონ ლაილაშის, ტვიშის და რცხმელურის სკოლების V—VIII კლასების რუსული ენის მასწავლებლების ვ. კუბუსიძის სამს. ასათიანისა და კ. ბენდუკიძის მიმართ.

თ) მიმდინარე წლის 10 ნოემბრამდე უზრუნველჰყონ ყველა სკოლა საჭირო რაოდენობის სათბობი მასალით.

2. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) ერთი თვის ვადაში შეისწავლონ სკოლებიდან განთესილ მოსწავლეების საკითხი და ის მოსწავლენი, რომელთა ჩაბმა შესაძლებელია სწავლებაში, სასწრაფოდ მოიზიდონ სკოლებში. სკოლიდან გასულ მოსწავლეების სწავლებაში ჩასაბმელად იხელმძღვანელონ საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის 1946 წლის 13 მარტის ბრძანებით;

ბ) მიიღონ საჭირო ზომები ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების კაბინეტების სრულ წესრიგში მოსაყვანად და შეჰქმნან პირობები სკოლებში სადემონსტრაციო ცდებისა და ლაბორატორიული მუშაობის სისტემატურად საწარმოებლად (იხელმძღვანელონ განათლების სამინისტროს 1947 წლის 17 და 20 მარტის № 476 და № 505 ბრძანებებით);

გ) ყურადღება მიაქციონ სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობას, შეავსონ სასკოლო ბიბლიოთეკები წიგნებით, მოაწესრიგონ წიგნების დარგობრივი კლასიფიკაცია და მათი გამოყენების საქმე. სკოლაში არსებულ წიგნადი ფონდიდან შეადგინონ ცალკე კლასებისათვის კლასგარეშე საკითხავი წიგნების სარეკომენდაციო სიები, ჩააბან მოსწავლეები კლასგარეშე კითხვაში და გაუწიონ სათანადო ხელმძღვანელობა და კონტროლი მოსწავლეთა მიერ წიგნებით სარგებლობის საქმეს;

დ) ა/წლის 10 ნოემბრამდე უზრუნველჰყონ გაკვეთილების სამეცადინო ცხრილში საჭირო ცვლილების შეტანა;

ე) დაუყოვნებლივ ჩამოაყალიბონ საგნობრივი კომისიები და გაუწიონ ხელმძღვანელობა მათ მუშაობას;

ვ) მიიღონ ზომები სასწავლო მიწის ნაკვეთის მოწყობისა და მასზე მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობის წარმოებისათვის.

3. საგნის მასწავლებლები დეტალურად გაეცნონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელო ბრძანებებსა და მითითებებს ცალკეულ საგნების სწავლების საკითხებზე, იხელმძღვანელონ ამ მითითებებით და უზრუნველჰყონ საგნების საჭირო სიმაღლეზე დაყენება.

4. ტვიშის საშუალო სკოლის დირექტორმა კ. გოდოლაძემ მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე დაამთავროს საკლასო ოთახების მიშენება. აღკვეთოს მასწავლებლების მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები, მოიწვიოს სკოლაში უცხო ენის სპეციალისტი მასწავლებელი და მოაწესრიგოს ქიმიის გაცდენილი გაკვეთილების კომპენსირება.

5. რცხმელურის რვაწლიანი სკოლის დირექტორმა გ. ხეცურიანმა, განათლების განყოფილებასთან ერთად, უზრუნველჰყოს მდინარე ცხენის-წყლისაგან მოსალოდნელი ზიანის წინააღმდეგ საჭირო ღონისძიების გატარება.

6. დაბალი კვალიფიკაციისა და დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის განთავისუფლდნენ სამუშაოდან: დ. ჭაბუკიანი (ჩოლურის საშუალო სკოლის IV კლასის მასწავლებელი), კ. ფრუიძე (ალპანის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი), ი. მუშკუდიანი (ჩხუტელის რვაწლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლებელი), ო. მუშკუდიანი (ზუბის რვაწლიანი სკოლის ქიმია-ბუნებისმეტყველების მასწავლებელი), გ. დვალაძე (ჩოლურის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი), გ. მუკბანიანი (ლენტეხის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი), ნ. ლორთქიფანიძე (ლენტეხის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი) და დევდარიანი (ორბელის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი).

6. ჩამოერთვას ფიზიკის საათები ა. ნემსიწვერიძეს (ალპანის საშუალო სკოლა), როგორც ამ საგნის არასპეციალისტს; ჯახუნდრის საშუალო სკოლის მასწავლებელ გრ. ონიანს ჩამოერთვას ზედაკლასებში მათემატიკის, ფიზიკისა და რუსული ენის საათები, ქვედა კლასებში მათემატიკისა და რუსული ენის საათების დატოვებით.

7. სასტიკი საყვედური გამოეცხადოს ჩოლურის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. კიკვიძეს და სასწავლო ნაწილის გამგეს მ. ჯინჭარაძეს, იმისათვის, რომ მათ ვერ უზრუნველჰყვეს მასწავლებლების მუშაობაზე ხელმძღვანელობის დაწესება და მათთვის საჭირო დახმარების გაწევა, სამინისტროს მნიშვნელოვან მითითებათა და ძირითად დოკუმენტების მასწავლებლებამდე დაყვანა და სასკოლო-სასწავლო კაბინეტის მოვლა-გამოყენება.

სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის სუსტი ხელმძღვანელობისათვის სასტიკი საყვედური გამოეცხადოს აგრეთვე ბარდნალის რვაწლიანი სკოლის დირექტორს ნ. გელენიძეს და საკონტროლო წერითი ნამუშევრების უხარისხოდ გასწორებისათვის ლასურიაშის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს გ. ცხვედიანს.

8. საგნის სწავლების ცუდად დაყენებისათვის, მოუმზადებელი და გაუმართავი გაკვეთილების გადაცემისათვის, რის შედეგადაც მოსწავლეთა ცოდნის დონე დაბალია, გამოეცხადოს საყვედური თ. გვიშიანს (ორბელის საშუალო სკოლის მე-2 კლასის მასწავლებელს), კ. ასლანიკაშვილს (ოყურეშის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს), თ. ჩარკვიანს (ბარდნალის რვაწლიანი სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს), ო. ტაბატაძეს (ოყურეშის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელს), მ. არსენიძეს (ოყურეშის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს) და თ. ქომეთიანს (ბარდნალის რვაწლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს).

9. მოსწავლეთა ცოდნის დაბალი დონის გამო გაფრთხილებულ იქნან კ. მუსელიანი (ლენტეხის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი), ა. ქარსელაძე (ლაილაშის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი), ა. გერგელავა (ბარდნალის რვაწლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლებელი), ხერგიანი და ვ. კობახიძე (ორბელის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებლები), ი. საღინაძე (ცაგერის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი), კ. გოდოლაძე და ი. ბრეგვაძე (ამავე სკოლის ისტორიის მასწავლებლები) რ. ჩიკვაიძე (ლასურიაშის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი) და მ. კახიძე (ცაგერის დაწყებითი სკოლის IV კლასის ისტორიის მასწავლებელი).

10. აღინიშნოს ქვემო სვანეთისა და ცაგერის განათლების განყოფილების გამგეების გრ. ონიანის და გრ. სვანიძის არასაკმაო ხელმძღვანელობა რაიონის სკოლების მუშაობაზე.

11. დაევალოს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს 1951 წლის მეორე კვარტალში შეამოწმოს ქვემო სვანეთისა და ცაგერის რაიონების სკოლებში აღნიშნული ბრძანების შესრულების მდგომარეობა და შედეგი მოახსენოს კოლეგიას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1950 წლის 24 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ს. ძუძრაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 4019

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წ. 23 ოქტომბერი

გაგრისა და გუდაუთის რაიონების განათლების განყოფილებათა მუშაობის შესახებ

გამორკვევით დადასტურდა, რომ გაგრისა და გუდაუთის განათლების განყოფილებების მუშაობაში მიღწეულია ერთგვარი წარმატებანი—სკოლები დაკომპლექტებულია მასწავლებელთა შესაფერისი კადრებით, საგრძნობლად გაუმჯობესდა ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლება, განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ენის სწავლების გაუმჯობესება რაიონის დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში, ამასთან, სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, შედარებით წინა წლებთან, განმტკიცდა. მიუხედავად ამისა გაგრისა და განსაკუთრებით გუდაუთის განათლების განყოფილების მუშაობაში, ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, რაც გამოიხატება შემდეგში:

ა) განათლების განყოფილებების სამუშაო გეგმა არ მოიცავს სახალხო განათლების ყველა ძირითადი დარგის ხელმძღვანელობასა და კონტროლს; დღემდე არ არის აღრიცხული დამწყები მასწავლებლები და არ ტარდება ყველა საჭირო მუშაობა მათი იდეურ-პოლიტიკური და მეთოდური დონის ასამაღლებლად, სკოლების ინსპექტირება რიგ შემთხვევაში არადამაკმაყოფილებელია (ინსპექტორი ა. პეტროსიანი, პედკაბინეტის გამგე გ. ინჯაია), ამასთან ადგილი აქვს სასწავლო-საალმზრდელო დარგში დამახინჯებათა და უკანონო მოქმედებათა დაფარვას (სოფ. ახალი სოფლის რვაწლიანი სკოლა, სოფ. ლიხნის საშუალო სკოლა); ზოგჯერ სკოლის მუშაობის გამოკვლევის შედეგად განათლების განყოფილება არ აძლევს სწორ მითითებებს მასწავლებლებს (ინსპექტორი ა. პეტროსიანი) და ღონისძიებანიც სკოლებს დიდი დაგვიანებით ეგზავნებათ. სოფ. ალახაძის რვაწლიანი სკოლა შემოწმდა 1949 წლის 9 დეკემბერს, ხოლო ღონისძიებანი გაეგზავნა 1950 წლის 12 აპრილს, სოფელ განთიადის საშუალო სკოლა შემოწმდა ა/წ. 18 თებერვალს, ღონისძიებანი გაეგზავნა 22 ივნისს. სოფ. კოლხი-

დის რვაწლიან სკოლას მიეცა მითითება, რომ საჭიროა ლექსების მოკლე შინაარსი თხრობით ასწავლონ და სხვ. შემოწმების პერიოდში არც გაგრისა და არც გუდაუთის პედაგოგიურ კაბინეტს მუშაობა არ ჰქონდა დაწყებული, ხოლო გუდაუთის პედაგოგიურ კაბინეტში ვერ მოინახა 1949/50 სასწავლო წელს ჩატარებული მუშაობის შედეგები.

გუდაუთის რაიონის ზოგიერთ სკოლაში ადგილი ჰქონდა კლასიდან კლაში მოსწავლეთა უკანონო გადაყვანასა და ჩარიცხვას. მაგ. სოფელ ახალი-სოფლის რვაწლიან სკოლაში (დირექტორი ბ. მაჭავარიანი) მოსწ. გ. კობახიძეს საშემოდგომო გამოცდაზე მიღებული შეფასება „2“ რუსულ ენაში „3“-ზე გადაუსწორეს და გადაიყვანეს შემდეგ კლასში. სოფ. ლიხნის საშუალო სკოლის დირექტორმა ვ. ვეკუამ თვითნებურად უკანონოდ ჩარიცხა და გადაიყვანა შემდეგ კლასებში მოსწავლეები ტ. გაბისონია, მ. ტარნავა, ს. სანგულია, ბ. გერია, ა. სანგულია. ყოველივე ეს იცოდა გუდაუთის განათლების განყოფილების გამგემ ს. ჩიქოვანმა, მაგრამ არ მიიღო საჭირო ზომები, ამ დამახინჯებათა აღსაკვეთად და პირიქით, მიჩქმალა. ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ რ. რურუამ ჩაიდინა სიყალბე—ადიგენის რაიონიდან წამოღებული შვიდწლედის დამთავრების ბეჭედდასმული ბლანკი გასცა ლიხნში მცხოვრებ ვინმე ვ. ანთიას სახელზე.

გუდაუთის განათლების განყოფილების გამგე არაკეთილსინდისიერად იქცევა მასწავლებელთა განთავისუფლებისა და დანიშვნის საქმეში. სახელდობრ გუდაუთის რუსულ საშუალო სკოლიდან, კლასების შემცირებასთან დაკავშირებით, გაანთავისუფლა სამამულო ომში დაღუპული მასწავლებლის მეუღლე ა. დუნაევსკაია და დღემდე უადგილოდ დასტოვა. სამაგიეროდ ისეთი მასწავლებლის მოწყობის საქმეში, რომლის დანიშვნაშიაც თვითონ არის დაინტერესებული, არაფერს ერიდება თვით სიყალბემდეც კი, აფხაზეთის ასსრ-ის განათლების სამინისტროს 1950 წლის 5 ივნისის № 547 ბრძანებით სოფ. აბგარხუკის რვაწლიანი სკოლიდან განთავისუფლდა ტარნავა, როგორც არაპედაგოგიური განათლების მქონე. გუდაუთის განათლების განყოფილების გამგემ ს. ჩიქოვანმა აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე დაუშვა ის მასწავლებლად სოფ. ლიხნის საშუალო სკოლაში, ხოლო 9 სექტემბერს წარუდგინა განათლების სამინისტროს, როგორც სოფ. აბგარხუკის რვაწლიანი სკოლის რუსული ენის მასწავლებელი, რომელიც თითქოს, ამჟამად, მუშაობდა ამავე სკოლაში და 25 აგვისტოდან საჭირო იყოს მისი სოფ. ლიხნში გადაყვანა.

ზოგიერთი სკოლა მოუმზადებლად შეხვდა 1950-51 სასწავლო წელს. სოფ. ბზიბის № 1, № 2, სოფ. ხეივნის № 1 (გაგრის რაიონი) სოფ. ახალი სოფლის, სოფ. ლიხნის (გუდაუთის რაიონი) საშუალო სკოლებში, გამოკვლევის პერიოდში არ იყო შედგენილი სტაბილური ცხრილი, არ ჰქონდათ საკლასო ჟურნალი, საგნობრივი კომისიები არ იყო ჩამოყალიბებული.

ამასთან აფხაზეთის ასსრ-ის განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული შემოწმებიდანაც გამოირკვა, რომ ზოგიერთ სკოლაში საშემოდგომო გამოცდები არ იყო ორგანიზებულად ჩატარებული, შედეგები არ იყო მოსმენილი პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე, მოუმზადებელი მოსწავლეები გადაყვანილ იქნენ მომდევნო კლასებში (გუდაუთის რაიონის სოფ. ჯიხვის, სოფ. აგარაკის რვაწლიანი სკოლები).

სოფ. აჩანდარის, სოფ. დურიპშის, სოფ. მწარის საშუალო და სოფ. ჯიხვის, სოფ. აგარაკის რვაწლიან სკოლებში სახელმძღვანელოები და ხელსაწყოები არ იყო მიტანილი. სოფ. ჯიხვის (გუდაუთის რაიონი) რვაწლიან სკოლაში 1950—51 სასწავლო წლის პირველი დღის მეცადინეობა ჩაიშალა.

რიგ სკოლაში გაკვეთილების ცხრილში არ არის შეტანილი ზოგიერთი საგნისათვის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათები. სოფ. ხეივნის № 2 საშუალო სკოლაში ცხრილით მე-9 კლასს ქართულ ენაში დათმობილი აქვს 5 საათი, მაშინ როდესაც სასწავლო გეგმით ქართულ ენას ეთმობა 2 საათი, ხოლო ქართულ ლიტერატურას 3 საათი. ასეთივე მდგომარეობაა ამავე სკოლის მე-9 კლასში.

აფხაზეთის ასსრ-ის განათლების სამინისტრომ აფხაზური საშუალო სკოლებისათვის დაუშვა სასწავლო გეგმა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელით, რომელიც შეცდომებს შეიცავს. კერძოდ აღნიშნულია, რომ აფხაზური საშუალო სკოლების VIII—XI კლასებში სწავლება უნდა სწარმოებდეს რუსულ ენებზე, მაშინ, როდესაც აფხაზური საშუალო სკოლის VIII—IX და X კლასებში სწავლება სწარმოებს ქართულ ენაზე. აღნიშნულმა მითითებამ განათლების განყოფილებებისა და სკოლების მუშაკთა შორის გაუგებრობა გამოიწვია.

ზოგიერთ სკოლაში გაკვეთილი ტარდება უხარისხოდ და ადგილი აქვს სასწავლო რეჟიმის უხეშად დარღვევის ფაქტსაც. მაგალითად, სოფ. ლიხნის საშუალო სკოლის მეოთხე კლასში ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე ექთანი, მალარიით დაავადების დასად-

ენად, მოსწავლეებს ყურის ბიბილოდან უბრალო ნემსით ულებ-
და სისხლს. ამავე სკოლაში რუსული ენის მასწ. ლ. ტარნავა მეშ-
ვიდე კლასში ატარებს წერით სამუშაოებს, მაგრამ ვისი ნამუშე-
ვარი გაასწორა, ან შეფასება ვის მისცა არ იცის იმის გამო, რომ
რვეულის ყდაზე მოსწავლეთა გვარები არ წერია.

ზოგიერთ სკოლაში გეგმიანი მუშაობა აშკარა მოტყუებითა და
თვალთმაქცობით სწარმოებს, მაგ.: ახალი სოფლის რვაწლიანი სკო-
ლის დირექტორი ბ. მაჭავარიანი 1948 წელს შედგენილი გეგმით
სარგებლობს 3 წლის განმავლობაში, ხოლო გუდაუთის განათლების
განყოფილებამ ეს ვერ შენიშნა.

ზოგიერთი სკოლის დირექტორი სარგებლობს სამსახურებრივი
მდგომარეობით, ჩადის შეუფერებელ მოქმედებას. ახალი სოფლის
რვაწლიანი სკოლის დირექტორმა ბ. მაჭავარიანმა სკოლის ეზოში
აიშენა ბოსელი და საქათმე და ამით სკოლაში შექმნა ანტისანიტა-
რული მდგომარეობა.

გაგრის რაიონის სკოლებში საქ. სსრ განათლების სამინისტროს
ნებართვის გარეშე ანგრევენ კაპიტალურ კედელს, როდესაც ამისი
საჭიროება არ არის (გაგრის ქართული საშუალო სკოლა, დირექტო-
რის მოვალეობის აღმსრულებელი პ. ბებია), ტიხრავენ ოთახებს
(სოფ. ხეივნის საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. გოგოლი, სოფ.
ბზიბის № 2 რვაწლიანი სკოლა) და ამით უხეშად არღვევენ სკო-
ლის შენობის მოვლისა და დაცვის დადგენილ წესს.

უნდა აღინიშნოს, რომ გაგრის რაიონის მთელ რიგ სკოლებს
(სოფ. ბზიბის №№ 1, 2, სოფ. ლძაანის და სხვ.) არ აქვთ შექმნილი
სასწავლო-მატერიალური ბაზა, ხოლო სასკოლო ბიბლიოთეკებში
ჯერ კიდევ არასაკმარისი რაოდენობით მოიპოვება ქართულ ენაზე
გამოცემული მხატვრული, პოლიტიკური და ტექნიკური ლიტერა-
ტურა.

გუდაუთის განათლების განყოფილებაში ადგილი აქვს ფინანსიური
დისციპლინის უხეშად დარღვევის ფაქტებს, რაიონის მასწავლებელ-
თა ერთი ნაწილი (27 მასწავლებელი) ზედმეტად იღებდა ხელფასს,
განათლების განყოფილების მუშაკები თ. ზერბინა, რ. სიდულნიკოვა,
მ. გობეჩია სკოლების საშტატო ერთეულებიდან იღებენ ხელფასს
და ფაქტიურად ამ სკოლებში არ მუშაობენ. განათლების განყოფილე-
ბის გამგე ს. ჩიქოვანი გუდაუთის ქართულ და გუდაუთის რუსულ
საშუალო სკოლიდან უკანონოდ იღებს წრეობრივი მუშაობის ხელ-
მძღვანელობისათვის ხელფასს და სხვ.

შემჩნეულ ნაკლოვანებათა უმოკლეს ვადაში გამოსწორების
მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს გაგრისა და გუდაუთის რაიონის განათლების განყოფილებებს:

ა) შეადგინონ სამუშაო გეგმა (კვარტალური) იმგვარად, რომ გეგმაში გათვალისწინებულ იქნას განათლების ყველა ძირითადი დარგის ხელმძღვანელობა და კონტროლი. ინსპექტორებმა, როგორც წესი, განათლების განყოფილების საერთო გეგმის საფუძველზე შეადგინონ ინდივიდუალური სამუშაო გეგმა და განათლების განყოფილების გამგემ პირადად გაუწიოს კონტროლი ინსპექტორების ინდივიდუალური გეგმის შესრულებას.

ბ) დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში სასწავლო სააღმზრდელო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მოაწყონ სისტემატური და თანმიმდევრული კონტროლი და გაუწიონ ყველა საჭირო დახმარება სკოლებსა და მასწავლებლებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებათა ზუსტად განხორციელების საქმეში, რისთვისაც გააძლიერონ სკოლების ინსპექტირება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მშობლიური ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, სამოქალაქო ისტორიის, ფიზიკისა და ქიმიის, ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკის სწავლების დონის შემდგომ ამაღლებასა და მოსწავლეთა მუსიკალურ-მხატვრული აღზრდის გაუმჯობესებას, სკოლებში ორკლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელთა მუშაობას და მიიღოს ყველა საჭირო ზომა შეჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

გ) მიღწეულ იქნას სკოლებში წერითი მუშაობის ნორმების დაცვა, თემების მოფიქრებულად შერჩევა, ნამუშევრების გულდასმით გასწორება და შეფასება, სერიოზული ყურადღება მიაქციონ საგნობრივი კომისიებისა და მეთოდგაერთიანებათა, პედაგოგიური საბჭოს, კლასის ხელმძღვანელების მუშაობასა და კლასგარეშე კითხვის გადაჭრით გაუმჯობესების საქმეს.

დ) მიაღწიონ სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის საფუძვლიანად შესწავლას. გამოკვლევის შედეგები, როგორც წესი, მოსმენილ იქნას პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე, დასახონ შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ყველა საჭირო ღონისძიებანი და გაუწიონ კონტროლი დასახული ღონისძიებების შესრულებას. მოაწყონ გამოკვლევის შედეგებისა და გამოცდილებათა გან-

ზოგადება ბრძანებების, ცირკულარული წერილებისა და მიმართვების სახით.

ე) დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლების მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

ვ) გარდაქმნან პედაგოგიური კაბინეტის მუშაობა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებისათვის ქმედითი, სისტემატური და თანმიმდევრული მეთოდური დახმარების აღმოჩენა. ამ მიზნით გააუმჯობესონ პედაგოგიური კაბინეტის ცალკეული სექციების მუშაობა, მოაწყონ კონკრეტულ მეთოდურ საკითხებზე მოხსენებები, სემინარები, გამოცდილებათა განზოგადების მიზნით ჩაატარონ დახელოვნებულ მასწავლებელთა გამოყენებით ღია გაკვეთილები და სხვა.

ზ) ჩაატარონ დამწყებ მასწავლებელთა სპეციალური აღრიცხვა და პედაგოგიურ-მეთოდურ საკითხებზე გაუწიონ მათ დახმარება სემინარების, ლექციების, მოხსენებებისა და კონსულტაციების სისტემატური მოწყობით.

თ) აიკრძალოს განათლების განყოფილების აპარატის მუშაკების (ბუხჰალტერი, საქმეთა მმართველი და სხვა) სკოლებში შეთავსებით მუშაობა და სკოლის ხარჯზე განათლების განყოფილების აპარატში დამატებითი საშტატო ერთეულის აყვანა.

2. ახალსოფლის რვაწლიანი სკოლის დირექტორი ბ. მაჭავარიანი, რომელმაც დაუშვა მოსწავლის უკანონოდ შემდგომ კლასში გადაყვანა, ფორმალურად ადგენდა სკოლის სამუშაო გეგმას, სასკოლო ეზოში პირადი სარგებლობისათვის გაიშენა ბოსელი და საქათმე, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური და გაფრთხილებულ იქნას, რომ მსგავს შემთხვევაში მოხსნილი იქნება სამუშაოდან.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სოფ. ლიხნის საშუალო სკოლის დირექტორი ნ. ვეკუა მოსწავლეთა უკანონოდ ჩარიცხვისა და გადაყვანისათვის და სასწავლო ნაწილის გამგე რ. რურუა შვიდწლედის დამთავრების ყალბი მოწმობის გაცემისათვის მოხსინილი არიან თანამდებობიდან.

4. დაევალოს აფხაზეთის ასსრ-ის განათლების მინისტრს ამხ. ს სიგუას დაუყოვნებლივ გამოითხოვოს სკოლებიდან აფხაზეთის ასსრ-ის განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული სასწავლო გეგმა აფხაზური საშუალო სკოლებისათვის, რომელიც შეიცავს შეცდომებს, და ამ საკითხზე მისცეს სკოლის მუშაკებს სათანადო ახსნა-განმარტება.

5. დაევალოს გუდაუთის რაიონის განათლების განყოფილებას მასწ. ა. დუნაევსკაია მოაწყოს სათანადო სამუშაოზე გუდაუთის ერთ-ერთ სკოლაში.

6. აღინიშნოს გაგრის ქართული საშუალო სკოლის დირექტორის მოვალეობის აღმსრულებლის პ. ბებიას თვითნებური მოქმედება, რაც გამოიხატება სასკოლო ოთახის გატიხვრასა და კაპიტალური კედლის გამონგრევაში.

გაფრთხილებულ იქნან განათლების განყოფილების გამგეები და სკოლის დირექტორები, რომ შემდეგში არ დაუშვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე სასკოლო ოთახების გადატიხვრა, კაპიტალური კედლების განგრევა.

7. გუდაუთის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ს. ჩიქოვანს სკოლებში არსებულ ნაკლოვანებათა მიჩქმალვისა და გუდაუთის რუსული და ქართულ საშუალო სკოლებიდან ხელფასის უკანონოდ მიღებისათვის გამოეცხადოს საყვედური და გაფრთხილებულ იქნას თუ უახლოვს დროში არ გარდაქმნის მუშაობას, არ გამოასწორებს განათლების განყოფილებაში და სკოლების მუშაობაში არსებულ საერიოზულ ნაკლოვანებებს, დაედება უფრო მკაცრი სასჯელი.

8. დაევალოს საქ. სსრ განათლების სამინისტროს უფროს ინსპექტორს ამხ. ა. ჩაჩიბაიას 1-ლ იანვრამდე შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და შედეგი მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე ვ. ტოგონიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 4171

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წ. 3 ნოემბერი

ქ. გორის ვაჟთა II საშუალო სკოლაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

დადასტურებულად ჩაითვალოს, რომ გორის ვაჟთა № 2 საშუალო სკოლის დირექტორმა ი. ჯაბრიშვილმა ვერ შესძლო აღეკვეთა სკოლაში მასწავლებელთა შორის უპრინციპო დაჯგუფება, პირიქით, თვითონ შეუწყო ხელი კინკლაობას, რითაც სკოლის ხელმძღვანელისათვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა.

ამასთან ი. ჯაბრიშვილმა 1946—47 სასწავლო წელს სოფ. ქვემო-ნიქოზის საშუალო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე ყოფნისას უკანონოდ ჩარიცხა მე-11 კლასში ქ. გორის ვაჟთა № 2 საშუალო სკოლის მე-10 კლასში დატოვებული მოსწავლე ბ. მშვიდობაძე. სოფ. ქვემო-ნიქოზის საშუალო სკოლაში სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ხელმძღვანელობისათვის მიმაგრებულმა პედაგოგიური კაბინეტის გამგემ თ. ედიშერაშვილმა, რომელიც გორის ვაჟთა № 2 საშუალო სკოლის მასწავლებლად მუშაობდა, იცოდა რომ ბ. მშვიდობაძე პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით დატოვებული იყო მეათე კლასში, ეს ფაქტი არ ამხილა.

ამასთან აღვნიშნავ იმასაც, რომ გორის რაიონის პედაგოგიურ კაბინეტში თ. ედიშერაშვილის სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად წაკითხულ იქნა შეუმოწმებელი მოხსენება. მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით

ვბრძანებ:

1. ქ. გორის ვაჟთა № 2 საშუალო სკოლის დირექტორი ივ. ჯაბრიშვილი განთავისუფლდეს თანამდებობიდან და გამოყენებულ იქნას სპეციალობის მიხედვით მასწავლებლად.

2. გორის რაიონის პედაგოგიური კაბინეტის გამგე თ. ედიშერაშვილი განთავისუფლდეს პედაგოგიური კაბინეტის გამგის თანამდებობიდან და გამოყენებულ იქნას მასწავლებლად.

3. დაევალოს საქ. სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებას ქ. გორის ვაჟთა № 2 საშუალო სკოლა განამტკიცოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგიური კადრებით.

4. დაევალოს გორის რაიონის განათლების განყოფილებას შეარჩიოს პედაგოგიური კაბინეტის გამგის თანამდებობაზე შესაფერისი პირები და წარმომიდგინოს დასამტკიცებლად არა უგვიანეს ერთი კვირისა.

საფუძველი: საქ. სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1950 წ. 24 ოქტომბრის № 60 დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 4191

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 5 ნოემბერი

თბილისის გარეუბნის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორის გ. გ. ზუმბაძის მოქმედების შესახებ

გამოკვლევით დადასტურდა, რომ ადიგენის რაიონის სოფელ მოხის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ელენე სიმონის ასულმა ჟორჟოლაძემ, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა საშუშაო ადგილის გამოცვლა, ჯერ კიდევ 1949 წლის ზაფხულში შეიტანა განცხადება თბილისის გარეუბნის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებაში და ითხოვა რაიონის რომელიმე სკოლაში დანიშვნა. მიმდინარე წლის ზაფხულში ჟორჟოლაძე დაუკავშირდა თბილისის გარეუბნის რაიონის სახალხო განათლების განყ. სასკოლო ინსპექტორ გიორგი გიორგის-ძე ზუმბაძეს და სთხოვა დახმარებოდა ადიგენის რაიონიდან თბილისის გარეუბნის რაიონში გადმოყვანის საქმეში. გ. ზუმბაძემ მას აღუთქვა დახმარება. მიმდინარე წლის ივლისში გ. ზუმბაძემ ე. ჟორჟოლაძეს გამოართვა 3000 მანეთი და განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებაში საკითხის რამდენიმეჯერ დაყენებით მიაღწია ჟორჟოლაძის განთავისუფლებას ადიგენის რაიონის მოხის საშ. სკოლის სასწავლო ნაწალის გამგის თანამდებობიდან. ამის შემდეგ გ. ზუმბაძე სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით ახერხებს აგრეთვე განათლების სამინისტროში პროექტის წარმოდგენას ჟორჟოლაძის დიღომის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ დანიშვნის შესახებ. ჟორჟოლაძის დანიშვნის პროექტის განათლების სამინისტროში წარმოდგენამდე. ჟორჟოლაძემ მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლების ინსპექტურის უფროსს დ. გიორგაძეს შესჩივლა, რომ მას ზუმბაძემ გამოართვა 3000 მანეთი და დღემდე მას არც ფულს უბრუნებს და არც სამუშაოზე აწყობს, რომ ზუმბაძემ ჟორჟოლაძეს უთხრა სამუშაოდან განთავისუფლება 3000 მან. ღირს და თბილისში სამუშაოზე მოწყობისათვის აღნიშნიშნული თანხა არ არის საკმარისი და საჭიროა დამატებით 2000 მანეთი. ეს ფაქტი ცნობილი გახდა განათლების სამინისტროს კადრების განყოფილების მუშა-

ებისათვის და შეჩერებულ იქნა ე. ჟორჟოლაძის სამუშაოზე დანიშვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კადრების განყოფილებაში გამოძახებულმა ზუმბაძემ კატეგორიულად უარჰყო ჟორჟოლაძისაგან ფულის მიღების ფაქტი და ჩასთვალა აღნიშნული ცილისწამებად. ჟორჟოლაძემაც განაცხადა, რომ მას ზუმბაძისათვის ფული არ მიუცია. ამის შემდეგ საქმის დამატებით გამოკვლევის დროს ზუმბაძემ აღიარა, რომ მან ე. ჟორჟოლაძისაგან ისესხა 3000 მანეთი და შემდეგ დაუბრუნა მას სესხად აღებული თანხა და წარმოადგინა ფულის დაბრუნებაზე ჟორჟოლაძის მიერ ვითომ 9 და 20 აგვისტოს და 2 სექტემბერს გაცემული ხელწერილები ვალის ნაწილ-ნაწილად გადახდის შესახებ.

დადასტურდა, რომ ე. ჟორჟოლაძეს ფული არ ჰქონდა მიღებული 27 აგვისტომდე, მხოლოდ იგი აიძულა ზუმბაძემ მიეცა მისთვის აღნიშნული ხელწერილები განათლების სამინისტროში საქმის რკვევის პროცესში.

გამოკვლევებით აგრეთვე დადასტურდა, რომ მშრომელთა დეპუტატების თბილისის გარეუბნის რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე შალვა ბერაძემ დაარღვია სასკოლო შენობების შეკეთების მწარმოებელ ორგანიზაციებთან ანგარიშსწორების წესები. განათლების განყოფილების გამგემ შ. ბერაძემ მიმდინარე წლის ზაფხულში გ. ზუმბაძეს დაავალა ეშოვა 1000 მანეთი სასკოლო შენობების შეკეთების მწარმოებელ ინჟენრისათვის მისაცემად. გ. ზუმბაძემ მართლაც იშოვნა 1000 მანეთი და შ. ბერაძის თანდასწრებით გადასცა ნ. უზნაძეს. ეს გარემოება სასკოლო ინსპექტორმა გ. ზუმბაძემ გამოიყენა ე. ჟორჟოლაძისაგან ფულის თითქოს სესხების საბაბად და თავისი დანაშაულებრივი მოქმედების შემამსუბუქებელ არგუმენტად. გამოკვლევით კი დადასტურდა, რომ გ. ზუმბაძემ ე. ჟორჟოლაძისაგან 3000 მანეთი მიიღო მიმდინარე წლის 22 ივლისს, როგორც „გასამრჯელო“ ჟორჟოლაძის სამუშაოზე მოწყობისათვის.

თბილისის გარეუბნის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარემ სიმონ ხარიტონის-ძე ჭელიძემ სწორად არ შეაფასა აღნიშნული მდგომარეობა და ყოველმხრივ შეეცადა გაემართლებინა ზუმბაძის მოქმედება. ის ფაქტი, რომ განათლების განყოფილების ინსპექტორმა ზუმბაძემ 3000 მანეთი გამოართვა მასწავლებელ ჟორჟოლაძეს, რომელიც სამუშაოზე გაგზავნას თხოულობდა, რაიონის პროფკავშირის თავმჯდომარე ჭელიძესაც ნორმალურ მოვლენად მიაჩნია.

ვთვლი რა თბილისის გარეუბნის რაიონის სახალხო განათლების სასკოლო ინსპექტორ გ. ზუმბაძის მოქმედებას პედაგოგისათვის სრულიად შეუფერებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მშრომელთა დეპუტატების თბილისის გარეუბნის რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი გიორგი გიორგის-ძე ზუმბაძე მოიხსნას თანამდებობიდან და აეკრძალოს მას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლებში მუშაობა.

2. ვითვალისწინებ იმას, რომ ე. ჟორჟოლაძე კარგი მასწავლებელია და იგი არ ყოფილა დღემდე შემჩნეული რაიმე შეუფერებელ მოქმედებაში, დასაშვებად ვთვლი მის რიგით მასწავლებლად გამოყენებას.

3. მშრომელთა დეპუტატების თბილისის გარეუბნის რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს შალვა ბერაძეს, სასკოლო შენობების შემკეთებელ ორგანიზაციებთან ანგარიშსწორების წესების დარღვევისათვის გამოეცხადოს საყვედური.

4. დაევალოს განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო და კაპიტალური მშენებლობის განყოფილებათა უფროსებს (ვ. ბიწაძე და ი. შავიშვილი) შეამოწმონ თბილისის გარეუბნის რაიონის სასკოლო შენობების შეკეთების ხარისხი და ანგარიშისწორების მასალები, შედეგი მომახსენონ ა/წ. 20 ნოემბრამდე.

5. ეთხოვოს დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალურ კომიტეტს აღნიშნულ მდგომარეობასთან დაკავშირებით განიხილოს თბილისის გარეუბნის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარის ს. ჭელიძის საკითხი.

6. ეს ბრძანება დაეგზავნოს აჭარისა და აფხაზეთის განათლების სამინისტროებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს განსახილველად.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1950 წლის 31 ოქტომბრის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. დ. კუპრაძე

ი.ე/168

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ/მგებელი რედაქტორი მ. ბურჭულაძე
პ/მგ. გამოშვებისათვის დავ. გიორგაძე

უე02125. შეკვ. № 2419. ტირაჟი 3000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობებისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.